

თეატრი სსრკ-ში

საბჭოთაო სალიტერატურო ჟურნალი

№ 28 1917 წლის
კვირა მკათათვის 9 ფასი 20.კ
შელიშვილი მისუთი
გამომცემისა

მე რათ მინდა?

მე რათ მინდა ლხინი, თუ რომ ჩემი მოძიე ბედს ქედურას,
და დღე და ღამე კენესის, ჰგოდებს, იტანჯება, შია, სწყურის? .
მე რათ მინდა მზის სხივები, თუ სხეებისთვის ირგვლივ ბნელა,
და იმისა მეოხებით იღუპება ყველგან ყველა?
მე კაცი ვარ და კაცის მაქვს აზრი, გრძნობა, წარმოდგენა..
მე რათ მინდა სიხარული, თუ სხვას აღარაღებს ცრემლოთა დენა?.

მგგენი დვალი.

ბორჯომის წ. კ. გ. ს. სცენის მოუვარეთა წრე
(ათის წლის სასცენაო მუშაკობის გამო)



ი. ბეტიძე გ. ვაშაძე პ. ხუციშვილი დ. ვაშაქიძისა მ. ივ.-გვლინისა

საქალაქო არჩევნები.

თვითმპყრობელი მეფის დროს ჩვენ ვიყავით მონები, ყოველგვარ უფლებას მოკლებული. თვითმოქმედებისაკენ ყველა კარი ჩვენთვის დახუჭული იყო. მთავრობა აკეთებდა ყოველივეს ისე, როგორც მას სურდა და ჩვენ კი უბრალო მაყურებელი ვიყავით.

დღევანდელმა რევოლუციამ ჩვენ ვაგვხადა მოქალაქეებათ და მოგვანიჭა უწყვეტგვარი უფლება.

თვითმოქმედებისაკენ ყველა კარი ჩვენთვის დღეს ღია არის და ჩვენ შეგვიძლია შეერთებულიყნის ძალით გავაყეთოთ ყოველისფერი, რაც ჩვენ გვინდა.

დღეს ყველაზე მეტი შრომა, მეტი მოქმედება პარტიებს მას, ვინც უფრო ხელფებ შემოკრიბილი იყო ძველი წყობილების დროს.

ვინ იყო უფრო შემოკრიბი?

მშრომელი ხალხი.

თავადები, ბურჟუები, მდიდრები და სახოგადოთ ყველა მუქთახორები დაახლოებულიყვნენ მთავრობასთან, სასახლესთან. ამიტომ არა თუ კანონით სარგებლობდნენ ბევრგვარი უპირატესობით ხალხთან შედარებით, არამედ კანონს გარეშეც აკეთებდნენ თავთავის წოდებრივსა და კლასობრივ საქმეებს ნაცნობების, მფარველობისა და ქრთამების შემწეობით.

მშრომელ ხალხს კი ყველა კისერზე აჯდა და ყველა მუხრუქებს უქერდა: არ გაინძრეს და არ გადმოგვყაროს.

ყველა რიგინათ ცხოვრობდა, მხოლოდ მშრომელი ხალხი იყო მოკლებული ადამიანურ ცხოვრებას და აუტანელ ჯაფაში უსიხარულოთ იღოდა მისი დღეები.

დღეს მშრომელ ხალხს არაფერი არ გაანია გარდა თავისუფლებისა და მაჯისა.

მშრომელმა ხალხმა თვითონ უნდა შექმნას ყოველგან, ყოველ დარგში ადამიანური ცხოვრების პირობები.

მშრომელი ხალხი ორ ბნაკათ არის გაყოფილი: ერთია სოფელში მიწის მუშეები, მეორეა ქალაქში — ქალაქის მუშეები და წვრილი ხელოსნები.

პირველი უნდა გაბატონდეს სოფელში და თავის სასარგებლოთ მოაწყოს სოფლის ცხოვრება.

მეორე უნდა გაბატონდეს ქალაქში და გადააქციოს ის მშრომელი ხალხის ქალაქათ.

პირადი მოქმედებით დღეს გოლიათიც ველარ გაიმარჯვებს ცოვრებაში. პირადი კეთილდღეობის მოსაპოებლოთ საქიროა შეკავშირება, ერთად მოქმედება.

ქალაქში ბევრია წვრილი ხელოსანი, წვრილი ვაჭარი, რომლებიც თავისი შრომით დღიური ლუკმაზე გამოდიან. ყველა ესენი ვერ მიადწევენ მიზანს და ცხოვრებას ვერ გაიუმჯობესებენ ისე, თუ არ შეუერთდნენ ქალაქის მუშებს და მათთან ერთად, მათის მეთაურობით არ იწყეს ბრძოლა.

საარჩევნო კანონი ქალაქში ისეთი იყო ძველი წყობილების დროს, რომ ქალაქი მდიდრების ხელში რჩებოდა.

მდიდრები ბატონობდნენ ქალაქში, მდიდრები აკეთებდნენ თავის საქმეებს, ღარიბისათვის კი არაფერი არა კეთდებოდა.

სად იყო ქუჩები კარგათ მოფენილი და დასუფთავებული?

მდიდრების უბანში.

მშრომელი ხალხის უბანში კი ქუჩები სოფლის გზაზე უარეს სურათს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ველარში.

სად იყო ქუჩები განათლებული?

მდიდრების უბანში.

ვის აკლდა და აკლია წყალი?

ყველას. მდიდრებს კი არ აკლიათ.

ვის აკლდა და აკლია საეკიპო დახმარება საავთმყოფოში?

ღარიბებს.

მდიდრები საზღვარ გარეთ და რუსეთშიაც იპოვიან საუცხოვოთ მოწყობილ საავთმყოფოს.

ვინა ხდება სხვა და სხვა ვადამდეები სენით ან ხანგრძლივი ავთმყოფობით ავთ.

ღარიბი ხალხი.

ასეთი ავთმყოფობის წამლობა სახლშიაც რომ იყოს შესაძლებელი, ღარიბებისათვის ეს მოუხერხებელი ხდება სიღვიწროვის, უსაღარობისა და სხვა მიზეზების გამო. ამიტომ



საავთმყოფო ქალაქში არავისათვის იმდენათ აუცილებელი არ არის, რამდენათაც ღარიბი ხალხისათვის.

ამ მხრივ კი თბილისი სრულებით უნუ-გეშო სურათს წარმოადგენს.

მიხილოვის საავთმყოფო ინახება საე-რობო ხარჯით.

ქალაქს აქვს ერთად ერთი საავთმო-ფო, რომელიც ღარიბი ხალხის საქირების მესესდსაც ვერ აკმაყოფილებს.

ერთი სიტყვით მშრომელი ხალხის ჯან-მრთელობა, უბანი, სახლკარი, ქუჩები—სრულ-ლებით უყურადღებოთ არის დატოვებული. ვინ უნდა მო-ღოს ყოველივე ამას ბოლო? მდიდრებმა?

დღემდე მდიდრების ხელში იყო ქალაქი, მაგრამ ღარიბებისათვის მათ მხოლოდ ნამცე-ცები გაიმეტეს.

მხოლოდ მშრომელ ხალხს შეუძლია, დაიპყროს ქალაქი და მოაწყოს ის მშრომელი ხალხისავე სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ.

ჩვენ არაფერი არა გვაქვს იმის წინააღ-მდეგ, რომ მდიდრების უბანი განააგებული იყოს, გალამაზებული, მათი ქუჩები სუფთა და მოკირწყლული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამგვარსავე სურათს წარმოადგენდნ მშრომე-ლი ხალხი უბნები.

როგორ, რა გზით უნდა დაიპყროს ქა-ლაქი მშრომელმა ხალხმა?

ძველი მთავრობის დროს თუ არჩვენები მდიდრების ხელში იყო, დღეს საარჩევნო უფლება ყველას აქვს.

ქალაქში უმრავლესობა მშრომელი ხალხია.

მაშასადამე თუკი ქალაქის მშრომელი ხალხი, დემოკრატია შეკავშირდება, უსა-თუოთ უნდა გაიმარჯვოს.

მთელი ქალაქის დემოკრატია, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, ერთი მიზანი აქვს: ქალაქის მოწყობა მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ამიტომ მშრომელი ხალხის დროშა ქა-ლაქის არჩევნებში უნდა იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური და არა ვიწრო ნაციო-ნალური.

მშრომელმა ხალხმა უნდა აირჩიოს ქა-

ლაქის საქმეების მოსაწყისრიგებლოთ ისეთი კაცები, რომლებიც დაცავენ მშრომელი ხალ-ხის ინტერესებს. ასეთი კაცები ქართველებ-შიაც არის, რუსებშიაც, სომხებშიაც, თათ-რებშიაც.

ვერც ერთი ეროვნების მშრომელმა ხალხმა კავკასიაში ვერ შექმნა ისეთი მტკიცე დამცველი თვისი ინტერესებისა, როგორც ქართველმა მშრომელმა ხალხმა. ეს არის ქარ-თველი სოციალდემოკრატია.

თბილისის მთელმა დემოკრატია მანურ-ჩველათ ეროვნებისა თავი უნდა მოიყაროს ქართველი სოციალდემოკრატის გარშემო და მისი მეთაურობით ჩიებას საარჩევნო ბრძო-ლაში

უამისოთ დემოკრატის დამარცხება აუ-ცილებელია.

მაშინ ქალაქს ისევ მდიდრები ჩიადე-ბენ ხელში და ღარიბებს კი დარჩებათ ხელში სიზნელე, სიბინძურე, წყურვილი, შიმშილი, ავთმყოფობა და შრავალი სხე.

უნდა კარგათ გვხსოვდეს, რომ ქალა-ქის მდიდრები ყოველგვარ საშუალებას მი-მართავენ, რომ ქალაქის დემოკრატია დაქსა-ქსონ, ეროვნული უთანხმოება დათესონ, უციკები გაღიბონ და მიიმხრონ.

ამ მიზნის მისაღწევათ ქალაქის მდიდრე-ბი არავითარ ხარჯს, შრომის და საშუალოუ-ბას არ დაერიდებიან.

აქეთკენ არის მიმართული დაშნაკაცა-ნების გამოლაშქრება ქართველი სოციალდემ-მოკრატის წინააღმდეგ.

დაშნაკაცანები თვისი სოციალისტობით სომხის გაუწყრთნელ და დაურასმავ დემო-კრატის ატყუებენ, ნამდვილათ კი მსხვილ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებიან.

თუ დღეს არჩევნების სამზადისში მათ ნიშანში ამოიღეს ქართველი სოციალდემო-კრატია და ვიწრო ნაციონალისტობასაც კი სწამებენ მას, მათ მიზანშე-სომხის დემოკრა-ტია ჰყავთ. მათ უნდათ სომხის დემოკრატია ჩამოაშრონ ქართველ და სხვა ერთა დემო-კრატისა და სოლოლაკის სასარგებლოთ გა-მოიყენონ.

თუ რომ თბილისის დემოკრატია მსკი-



რო ზომები არ მიიღო, თუ რომ არ შეებძო-
ლა ასეთ პროვოკაციული ხასიათის აგიტა-
ციას, დაწმავაკანები თავის მიზანს მიადრე-
ვენ: თბილისის დემოკრატია განურჩევლად
ეროვნებისა შეთანხმებული აღარ გამოვა
შომაღალ არჩევნებზე.

არჩევნების დღეს მთელი თბილისის
მშრომელი ხალხი როგორც ერთი ადამიანი,
უნდა გამოცხადდეს თავთავის საარჩევნო
უბანში.

არც ერთი ხმა დემოკრატიისა არ უნდა
დაიკარგოს.

ავთმყოფი უნდა წამოდგეს ლოგინიდან
და მოვიდეს, რომ დემოკრატიის ასარჩევ პი-
რებს კენჭი მისცეს.

დღევანდელი საქალაქო არჩევნები გა-
მოკლდა თბილისის დემოკრატიის მომხადე-
ზისა, მოქალაქეობისა და პოლიტიკური სიმ-
წივისა.

თბილისის დემოკრატამ უნდა გაი-
მარჯვოს

თუ დამარცხდა, ისევ მისი ბრალი იქნება.

ივ. გამბართელი.



თეატრის პასუხისმგებელი სელმძღვანელები.

საყურადღებო იყო მოწოდება ქართველ
მსახიობთა კავშირისა. მართალია, ჯერ ჩე-
ნმა თეატრმა ვერ გვითხრა ახალი სიტყვა,
რევილიუციამ მას გაცილებით გაუსწრო წინ,
მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავდით და ეს ახა-
ლი სურვილი საბუთს ვგაძლევს ვიფიქროთ,
რომ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელები ცდი-
ლობენ ის შესაფერ სიმაღლემდის ასწიონ.
მთავარი კითხვა ამ ეპოქაშია, თუ როგორ
განახორციელდეს კავშირი იმ სურვილებს, რო-
მელიც მას ჰქონია. ეს არც ის, ადვილი იქ-
ნება.

დღეს სათეატრო საქმეში პირდაპირ
ანარქიაა გამეფებული. ახალი შენიშნული
არაა ჩვენი ერთი ნაკლი: თითქმის ყველა ან-
ბანის მკოდნეს უნდა გააოტრდეს და სარე-
დაქიო გოდრები ნაძალადევი ლექსებითაა
სავსე ჩვენში ყოველთვინ; მეორეს მხრით
თითქმის ყველა არა მუნჯს უნდა არტიტი
იყოს. შედევრიც შესაფერია, — პიესების მხვლე-
ლობა სტენაზე მარტო ფაზიკული მოძრაო-
ბით (ხელების ქნევით, სირბილით, კეილით,
თავზე ხელის ცემით და სხვა) განისაზღვრება
ხშირად. რასაკვირველია, ყველა ზემოთქმული
პროვინციის ეხება, სადაც ყოველგან ასეთი
სურათია. გამოწაკლისებს ზოგი პროვინციის
ცენტრები თუ წარმოადგენენ.

მთელი ლეგიონი ასეთი ნაძალადევი „არ-
ტიტიზისა“ დღეს შეუზოკველად მოქმედობს
და ამით ნიადაგს აქლის პროვინციისაში სათე-
ატრო ხელოვნების ფეხის მოდგმას. მართა-
ლია, თეატრის საკითხი დღეს ყველასათვის
მთავარი საკითხი არ არის, მაგრამ მის შე-
კავშირებულ ხელმძღვანელებისთვის კი უმთა-
ვრესი კითხვა უნდა იყოს. ამათმა ენერგიულმა
მოქმედებამ უნდა აღავსოს ის უპასუხისმგე-
ბლო ლეგიონი, რომელიც დათვურ სასახუ-
რს უწევს ბევრგან მივარდნილ კუახებებში სი-
მპატია მოპოვებულ სათეატრო ხელოვნებას.
კავშირმა ხელოვნების სიწმინდე უაღრესად
უნდა დაიცვას, მაგრამ უნდა არ დაივიწყოს
მომენტიც და ეს სიწმინდე ხალხთა ცხოვრების
წმიდა მისწრაფებებს შეუფარდოს.

თეატრი და ცხოვრება განსაკუთრებით
დღეს უნდა ვნახოთ ერთად. კავშირის
მოწოდებაც ამას ეუხსურება, რამდენად
ეს მის შინაარსიდან გამოსწვივის. ამ შინაარსი
განხორციელებისათვის კი საჭიროა ამო-
ქმედება კავშირის წევრების. ზევიდან მარ-
თვა ამ შემთხვევაში არ გამოდგება. საჭიროა
ადგილობრივ პირობების გაგება და თეატრის
პასუხისმგებელ პიროვნების ხელში გადაცემა-
პროვინციებში სადაც უატრს ფართო ნიადაგი
მოუპოვია და ადგილობრივი სასცენო ძალეში
დრამატული საზოგადოების სახით ჯერ კი-



დღე ვერ შეკავშირებულან, სკიროა კავშირ-
მა იყოლიოს საზოგადოებისაგან პატივცემ-
ული და თეტრთან ახლოს მდგომი ზირი
წარმოდგენების მსვლელობის პასუხის მგებელ
ხელმძღვანელად. ე. ი. ის იქნება რეპერტუ-
არის ვალდამშინჯავი, შესაფერ ფასების დამა-
წესებელი გარემოების მიხედვით, კავშირის
შქონე აღვიღო. რევოლიუციონურ მთავრობის
წარმამდგენლებთან და პისის შინაარსზე მით
წინაშე პასუხის მგებელი და სხ. სადაც ყველა
მეთაურია, იქ საქმე არ გაკეთდება. ვინმე
უნდა ცდილობდეს, რომ სხვა არა იყოს რა
ტენზიკურად მინც მოაწყოს წარმოდგენის
გამართვის საქმე.

დავალმებებს და მოწმობებს კავშირი ია-
ფად არ უნდა იძლეოდეს, თორემ მისი ავტო-
რიტეტიც, ვაიფდება. პირადად ჩვენ ცოტა-
თი შეგფთქიანა კავშირის მიერ გადადგ-
მულია ერთმა ნაბიჯმა და გულწრფელად გვი-
ნდა ის გავაფრთხილოთ, რომ მომავლშიც
ასე არ დამართოს ჩვენი წინ დევს აფიშა,
რომელზედაც ვკითხულობთ: „ქართული მსა-
ხიობა კვანძისაგან დამტყვევებულ ამაშის რა-
იონანს სტენის მოუყარეთა გუნდი.“ ხელი უწე-
რიით ისეთ ახალგაზღვებს, რომელნიც თეა-
ტრის ხელმძღვანელად ვერ გამოდგებიან ხო-
ლო მაყურებლად კი. სასურველია, როცა ახალ
გაზღვები კულტურულ თავშეკრევას ეტანებიან,
მაგრამ საზოგადოების წინაშე გამოსვლა და
ისიც ფასიანი წარმოდგენით უნდა შეედლოს
მხოლოდ პასუხის მგებელ ხელმძღვანელებს,
რომელსაც საღი კრიტიკა შეადიკრიანებს და
არა ყალბზე დააყენებს. ამასთან კავშირის არ
შქონდა უფლება, რომ ასეთი დიდი სახელი
მიეცა ასეთ პაწია ჯგუფისათვის, რომელსაც
შეუძლია ნაცონობისთვის წარმოდგენების
მართვა და არა რაიონის საკადრისის უნდა
გავხადოვდეს, რომ ამაშის რაიონი მოწინავე
რაიონია. ამ ჯგუფს ანგარიშს გაუწევენ აღ-
ვიღო. მოწინავეები და ახლავე გაუგებრობა არ
უნდა დაეშვა კავშირის ჯერ უნდა გაიწონოს
კავშირმა ძალები და შემდეგ არიგოს მოწმო-
ბები. ეს ჩვენი რჩევა გულწრფინდა და იმედია
მხედველობაში მიიღებს კავშირი, იმედია კიდევ,
რომ კავშირი პროვიცის თეატრს აქედანვე დიდ
ყურადღებას მიაქცევს და პასუხისმგებელ
ხელმძღვანელებს დაუნიშნავს პროვ. ცენ-
ტრებში, სიდაც ღრამ. სახ-მა ჯერ ვერ შემ-
დგარა.

არ. ფანცულაია.

* *

და ამა, ესეც თავისუფლება!
რა თვალწარმტაცი, პაეროვანი და სრულ
ქმნილი იყო იგი, როს შორით სჩანდა, ხელს
ვერ ვკიდებდით.

იყო? განა ნამდვილათ კი არ არის
სრულქმნილი და მშვენიერი?

ქეშმარიტად რომ არა!
თუ სრულ ქმნილია, თუ მშვენიერი

გუნდრუკ საკმევი უნდა იყოს ყველასათვის,
განურჩევლად!

სქესი და რწმენა, ერი დიდი და ერი-
პატარა ერთის უფლებებით უნდა იყვენ აღ-
ქურცილი მის შარავანდელი მოკულ თავი-
სუფლების ტახტის წინაშე!

ერი ჩემი კი ამ უფლებას ვერსად ვერ
ხედავს...

არ შეუძლიან თანასწორობის უფლება-
ზე ხმის ამოღება, რადგან ამომბენ: ეგ „ტაქ-
ტიკას“ არ უხდებაო...

ჰმ! სსსაცლოა, სატირელი რომ არ
იყოს ეგ!

თუ ყოველ ერსა, პატარასა თუ დიდს
შეუძლიან თავის თავზე ხმა აღიმაღლოს თვი-
სი სახე გაარკვიოს, აგრძობინოს ყველას თა-
ვის „ში“—

ერი ჩემი რათ შეადგენს გამოწვევისსა?
განა „ტაქტიკა“,—რომლის ხსენებთ
გვაშინებენ ვით საფრთხობელით ბელურა ჩი-
ტებს—მარტო ჩვენთვის არსებობს მხოლოდ
და სხვისთვის კი არ?

მაგრამ... ეჰ, ბედი ჩვენი ზეცას სწერია!

თუ იქ არა სურთ ჩემი ერის მიწიდან
იღვვა, გაცამტერება—ჩვენ ჩვენის „ტაქტი-
კით“ ვერას ვიზამთ, ვერას გავხდებით.

თუ კი სხვას აქვს თავისუფლების მოთ-
ხოვნის ნება, ჩემი ერიც ითხოვს ამასვე.

და ამ მოთხოვნის ყოველნაირი უფლება
აქვს მას..

სულიერი, ზნობრივი, კანონიერი, რად-
განდ რაფერიც არ უნდა იყოს იგი უფლება.

და როს თვალწარმტაცს, პაეროვანს,
სრულ ქმნილ თავისუფლების ეღიარება ერი
ჩემი, ამა მაშინ ნახეთ, განსაჯეთ: შეუძლიან
თუ არ მას იმ „ტაქტიკის“ ტაქტიკურათ მო-
ხმარება, რომლის შემდეგ ქეშმარიტად შეი-
ძლება თქმა:

... და ამა, ესეც თავისუფლება!
თვალწარმტაცი, პაეროვანი სრულ ქმნი-
ლი და გუნდრუკ საკმევი!

განო ბარველი

ცხოვრების ზღვაზე

შფოთავს, ბობოქრობს ცხოვრების ზღვა მოუსვენარი,
 მოუსვენარი ცაი იწვევს აცა დასანთქავათ;
 დამოუის, ვით სხევრბლს, ჩემ მცურავ ნავს გრიგალი ქარი.
 ბნელი ფრთებმა შლის, გზას მიბურავს ნისლეზით შავით,
 ზვირთი ზვირთს მოსდევს ქარის ფრთებზე აგორებულთ.
 არღვიე მეღვრათ! გზას არ ასცდე! შენ, ჩემო ნავო!..
 ტალღა უნდოა, ტალღა—მშფოთვარ-აღლეგებულთ...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

რად იმალები კმუნვით სავსე ცის სქელ ღრუბლებში?
 რა უყვით მერე, რა სხევრბლი ვარ მე ამა ზღვისა?
 მერე რა—მე თუ დავიღუპე მებრძოლ ტალღებში,
 ხომ შევიმოკლე ოდნავ მაინც სავლელი გზისა?
 რა უყვით მერე, რა ვერ ვპოვებ სხიოსან ღღესა,
 რა ვერ ვიხილეთ მოკაშკაშე მიწა და ცანი!..

თუ ობლათ მცურავს ნავს ზვირთები ახეთქებს კლდესა,
 სულს ვერ დაღუპენ, არ დანთქმის ღტოლვის მიზანი...
 ზუზუნებს ქარი, კშინავს ტალღა, მოგორავს ზავით...
 სიკვდილი გვიმღერს შავ ძილის პირს... წინ ჩემო ნავო!
 ზღვა ქაფმორეულ შავ პირს აღებს ჩვენ დასანთქავათ...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

მებრძოლი სულის წილხვედრია ბნელი არღვიოს.
 უშიშრათ კაფოს ნარეკალი, წინ, წინ იაროს,
 ბრძოლის აღმულში თვით სიკვდილის აწრდილიც სძლიოს,
 რომ დაეწაფოს სიოცნებო იმ შეგების წყაროს...
 ბრძოლაა მარად თვით სიკოცხლე ადამის ძისა,
 რა რომ იგემა მან ნაყოფი ხე—აკრძალულის,
 რა პირველ გახდა ძმა კინი მოსისხლე ძმისა.
 რა შეიბურა ბოროტებით წიალი სულის.
 მიეწდოთ ამ ზღვას და ამ ღტოლვის მსრბოლ დაუცბრომელს...
 ნუ შეუღრტები ნურა ღღევას... წინ, ჩემო ნავო!
 არ უღალატო შენს მეგობარს მგზავრს—დაუცბრომელს...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

დე დამჩხავოღეს თავს მწარე ხვედრს ყორანი შავი;
 ტლუ მოგზაური მგორავ ზვირთმა უფსკრულს დამძიროს;
 მიგლიჯ-მიგლიჯოს გიქმა ტალღამ ერთგული ნავი;
 წყლის ქარტებილთა ზვირთთა ზარმა გამომიტროს!
 დაე, მოვტყუედე, ვერ ვიგემო აღთქმული შეგმა,
 ვერ მივალწიო, ველარ მივსწვდე იმ მიწას, იმ ცას,
 დაე იქც იყოს ჯოჯობეთი და ბოროტება—
 ვერ შევაჩერებ გიეურათ მფრენ ჩემ ღტოლვის მერანს,
 ვერა, ვერ წარვკვეთ, ვერ ჩავქრობ სწრაფვა სულისას!
 ეკვეთე ზვიროებს მხნეთ, უშიშრათ!.. წინ ჩემო ნავო!!
 ვიბრძვი, ვესწრაფი აღთქმის მხარეს სიყვარულისას...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!



გამოსულიყო... ან მეზღვე, ან მთავრობის მოხელე ან სხვა რამე, ოღონდ ამ დაუსრულებელი და უსარგებლო ოცნების გზას არ დადგამოდა... მაგრამ თქვენ ნუ განაწყინდებით... მე ხანდისხან ბოლშე მომივლის ხოლმე და რაც გულში მაქვს უნდა ამოვშალო. მე ვიცი, რომ ეს უწყსარიგობაა, მაგრამ გული არ მითმენს. ჯერ ვიჯავრებ, ვიბოძმავებ ხოლმე და მერე კი ვფიქრობ: ღმერთი, უფალი მოგვჩვენებს და ყველაფერს საუკეთესოთ წარმართავს... დიხხ, გააცინეთ! მე უწინდელი აღამიანი ვარ და ჩემ ნათქვამს არაფრის გუარლისთვის არ გადავთქვამ. იმისადმი, რომელიც არის იქ, მაღლა ცაში... არაფერს ქვეყანაზე არ შეუძლიან შეარყიოს ჩემი რწმენა...

ფრ. ანა. მე სრულებითაც მივს თქმარა მიწოდდა, დედი და არც ვამიციანია. ხელავთ, ეხლა კარგ გუნებაზე დადგით. გავიდეთ? შუშაბანდში სსიამოვნო სითბოა.

ფრ. ფოკ. არა, არა, გავცივდები... და საქმეცა მაქვს. წაღით თქვენ და იოჰანესი მოიყვანეთ: ყავა მზათა (ანა გადის, ფრანუ ფოკებს. ტა თახს ალაგებს, მტვერსა სწმენდს. ამ დროს მოისმის დალაპანდის და სუვეიანს ხმა. ფრ. ფოკებსა სჩქარათ შადის სარკველანს. სჯარვეების ხმა თანდათან სუსტდება და ბოლოს სუფ სწვდება, ფრანუ კეტე კახოტ ჩადმული გაშოდის სააქლ თახხიდან)

ფრ. კეტ. (გაჭაგრებულა) კვირაობით არ საშინელი ხმაურობაა ხოლმე აქ

ფრ. ფოკ. გინაზიელთა საზოგადოება იყო ბერლინიდან. მეტის მეტად კარგი ხალხია! დილა მშვიდობისა, კეტა, ხომ კარგათ გეძინა? დღეს შენ როგორღა...

ფრ. ფოკ. წუხელ ბოლშე ორჯერ გავიდვიძა. მერე ვეღარც მე დავიძინე... მაგრამ თავი დამანებე, დედი! ზოგი რა მაქვს მოსაფიქრებელი და მოსასაზრებელი, ზოგი რა...

ფრ. ფოკ. ნეტავი დაგეჯერებინა, შვილო, და ბავშვი ძიძისთან დაგვეწვინა.

ფრ. კეტ. (საუგულურსი კიდეით) ეჰ, დედი, შენ ხომ იცი...

ფრ. ფოკ. რატომაც არა?

ფრ. კეტ. შენ ხომ იცი, რომ არაფრის გულისათვის არ დავთანხმდები...

ფრ. ფოკ. ერთხელ როდისმე ხომ უნდა დასთანხმდებ.

ფრ. კეტ. (გაჭაგრებულა) არაფრის გულისათვის ბავშვს არ მოვშორდები! ფილიპე, ჩემი შვილი... ისეთი პაწაწინატელი და უღელთა?..

ფრ. ფოკ. შვილო, შვილო, რა დაგემართა? მაგას ვინ ამბობს... ღმერთმა დაგვიფაროს!.. აბა გინდა რამე? ყავა არ გინდა მოგიტანა? კარაქი წაუსვა პურზე? თუ...

ფრ. კეტ. (სტოლთან ჰდგება, დადავიდის ხმა) ჰო ვეთაყვა. (ტოტა ხნის შემდეგ, რადებს ფრ. ფოკებსა მურზე კარაქს უსვამს, კეტე ეკითხება) იოჰანესი სად არის?

ფრ. ფოკ. ისინი ყურძენსა ჰკრეფენ. ისა (ნიკაბით) და ფრელინ ანა.

ფრ. კეტ. (ხელის გულზე დაბჯენილი, წუნანად) ძალიან საყვარელი ქალია არა, დედი?

ფრ. ფოკ. სწორე გითხრა, ის ქალი მეც მომიწინს.

ფრ. კეტ. ჰხედავ, დედი! შენ ხომ ასეთი, უფლებით მამაკაცებთან გათანასწოებული ქალების წინააღმდეგი იყავ ყოველთვის...

ფრ. ფოკ. რაც კარგია—კარგია!.. უნდა გამოვტყუე ..

ფრ. კეტ. (გაჭაგრებულა) ეგ ქალი მეტად უბრალო აღამიანია და ამასთანავე ნამდვილი ქალური ყოფა ქცევისა... სრულებით არ მეტიჩარობს... არ მატრავცევობს... თუმცა ძალიან ქვიანი და მსთან განათლებულია... მე მივსი ხასიათი უფრო მომწონს. მართალს არ ვამბობ, დედი? სრულებით არ უყვარს თავისი ოცნით ყოყორობა... იოჰანესის მიგერი მე მიხარია! დედი, ხომ შენიშენ, რომ იოჰანესი ეხლა მულამ ისეთი მხიარულია...

ფრ. ფოკ. ჰო, ჰო! მართალი ხარ, იოჰანესი ეხლა სწორედ ბავშვივითა ცელოქობს ხოლმე ხანდისხან!..

ფრ. კეტ. ხომ მართალს ვამბობ, დედი?

ფრ. ფოკ. ეგ იმეტომ, რომ ეხლა ჰყავს იმისთანა აღამიანი, რომლის წინაშეც შეუძლიან სულ ერთიან წამოშალოს თავისი მეცნიერების ბუჩო.

ფრ. კეტ. იოჰანესისათვის ეგ დედი რამაა

ფრ. ფოკ. შესაძლებელია რასაკვირველია.. (სიჩუქი).

ფრ. კიტ. ფრეილინა ანნას ბევრ რამეში ვეთანხმები!. ერთხელ რაღაცახედა სთქვა: ჩემი, ქალბი, მეტად დამამკირებელ მდგომარეობაში ვართო. სრული სიმართლეა. იგივე მე ათასჯერ მიგარქნია.

ფრ. ფოკ. მაგისი დარდი კი არა მიქვს!. მაგისთანა რამეებით ძველ ქალებს, რომელთაც ბევრი რამ გამოგვიცდია ცხოვრებაში; — ვერ წავგიცადუნებენ. ფრეილინ ანნამ ეს კარგად გაიგო. მაგისთანებისათვის მე ძალიან მოსუბუცებული ვარ..

ფრ. კიტ. ის მინც მართალია, დედი!. დღესავით ნათელია, რომ ჩვენ, ქალები რაღაც საზიზღარი ქმნილებანი ვართ. წარმოიდგინე, ჩვენს კანონებში არის თურმე ერთი მუხლი — ეს გუშინ ანნამ მითხრა — რომლის ძალითაც ქპარს ეხლაც უფლება ეძლევა ფიზიკურათ დასაჯოს ცოლი..

ფრ. ფოკ. ამის შესახებ არა ვიცი რა და ამიტომ ლაპარაკიც არ მინდა. არა მგონია კი, რომ მაგისთანა რამე იყოს კანონებში. მაგრამ, კეტე. ერთ რამესა გთხოვ: წვრილმანებს ნუ გაჰყვები, ყურადღებს ნუ მიჰქცევ. მაგისთანა რამეებისაგან აღამიანს უფრო გზაკვალე ერევა, სულის სიმშვიდე ეკარგება და მეტი არა გამოდის რა. მოითმინე, შეილო, ეხლავე მოგიტან ყევის, ღიხ, კეტე, ეს ჩემი აზრია. (გადის)

ფრ. კიტ. (სუფრას გადაშლილ სტოლთანა ზის ნიდაუე დაურდნობილი. შუშპანდში გაიფლან იოჭნესი და ფრეილინ მანია, თანც სხამაღლა და მანაკობენ და იცინიან. ფრ კეტე შეშერთაღი ფესზე ადგება და შეჟუანებულუგასთყაღს გაყოფაებს. საშანელი სახის გამოშტტეუდება აქვს, ხამუშსამეშათა სუნთქვს ყავანანს და სხვა ჭურჭლის ჩხარუნი შიასმის. შემდეგ ფრანუ ფოკარტი დაჩხუდავს ფრანუ კეტეს სტოლთან იმხანათევე მჯდომარეს, როგორც დასტოვა)

ფრ. ფოკ. (შეშოაქვს ყავა) აბა, დალიე ეხლა და მოლონიერდები!.

(ფრეილინ ანნა და იოჭანი შემოდან შუშპანდიდან).

ფრ. ფოკ. თქვენც მოხვედით!? ძალიან კარგი,

იოჰ. (შუშპანდის კარებს და სტოლს) კარებს არა ვხურავ. გარეთ საქმიოთა თბლა ფრეილინ, თქვენ ძალიან ჩიქერიო!

ფრ. ანნა. (შოაორგეს რამდენსამე ვაზის რქას) არა, სრულებითაც არა! ტყუილია. ტრტები დანესტიანებულოცო ცოტათ და გარდა ამისა, მაკრატელი უცამედათ გადამიცდა. (მარდათ შიდის კეტესთან, ორთევე ზელავს უჭერს და შუბლზე ჰქონნის) დილა მშვილობისა, ფრანუ კეტე!. ოჰ, რა ცივი ხელეზია.. რა საშინელი ცივი ხელეზი გაქვთ.. (ხელავს უსრესავს. უნდა გაუთბოს).

იოჰ. (ჰქონნის კეტეს ღოუაზე, უკანადან) დილა მშვილობისა, კეტე. (კომიკურად შეწუხებულად) ღმერთო ჩემო, რას დამზავანებულხარ! საშინელიეზია. შენ მე მაგონებ ავადმყოფ ვარის..

ფრ. ფოკ. თქვენ ძალიან ვააცირთ ოთახი. მალე საკირო იქნება ფეჩის გახურება. ყველაფერი მზათაა. აბა დასხედით (ჟგუღას უსხამს ვაჯს)

ფრ. ანნა. (ვაზის რქით სტოლსა რთავს) ცოტა შიორთო..

ფრ. კე. რა მშვენიერებაა!.

იოჰან. აბა შეადარე: როგორი იყო ფრეილინ ანნა ამ რვა თვის წინეთ, როდესაც ჩვენთან მოვიდა და როგორია ეხლა?

ფრ. ანნა. მე ძალიან მოიხდა აქ ყოფნა, მაგრამ ეხლა კი წასვლაზე უნდა ვიფქრო.

ფრ. ფოკ. ეზ სული სოფლის ჰაერის ბრალოა.

იოჰან. მაშინ ვინ იღვა ჭარზე?

ფრ. ფოკ. ნეტა მამაშენი ეხლა რას შერება?

იოჰან. უთუოთ შენთვისა ნადვლობს.

ფრ. ფოკ. იჰ, იმას ბევრი საქმე აქვს. შემოდგომის თესლი დამზადებული, გაკეთებული ჰქონდა. გასოსეს რა იწერებოდა: დარჩი ვიდრე საკირო ხარო.

იოჰან. წასაყვანად ხომ მოვა, დედი?

ფრ. ფოკ. რასაკვირველია, თუ მივწერ, უტიკვლად მოვა. (ფრეილინ ანნას) ის დიდათ მოხარული იქნება, თუ რამე შემთხვევის იშოვნის, რომ თავისი შვილები ინახულოს.. უფრო კიდევ ეს პატარა შვილიშვილი. ოჰ,

დმერთო! დებეშა რო მოგვივიდა—ჯანმთელი ბიჭიაო... ნეტა გენახათ... სიხარულისაგან კინაღამ ჭკუელან შეშალა.

ფრ. კეტ. კეთილ მამავ!.. არა მართლა, შენ მაღე უნდა წახვიდე მასთან. ჩვენის მხრივ ეს მეტის მეტი ეგოსტობაა.

ფრ. კეტ. აბა, გენაცვალე, ეგ რა სათქმელია... ნეტავე შენ კარგათ იყო და ჯერ პატარა მოსუქდი..

ფრ. ანნა. ვიდრე აქა ვარ, მეც შემიძლიან დისახლისობა გავსწო. ყველაფერს გავეკეთებ!.. რუსულ საქმელებსაც კი მოგიხარშავთ—ბორშს, ფლავ!.. (ყველანა იფინანს)

ფრ. ფოკ. (უგბად, შეტად აჩქარებით) არა, არა! სულ ერთია მე მაინც არ წავალ..

კი შეგიძლიან, დედი, დარჩი რა (სისუშე).

იოჰან. კეტე, აბა ერთი თაფლი მომიტა,
ფრ. კეტ. ოჰ, ავერ ბრაუნი მოდის. ვბრუნე გამომწებება: ზაღტოთი, შლიაპათი, ქოლგით, აბათი, ხელში წაჯნი უჭიანავს. საში-ნელი მოჭყენილობის ბეჭედი ახის, მოჭანტულ-სავით დადის)

ბრაუნ. დილა მშვიდობისათ.

იოჰან. ასე აღრიანათ რომელმა ქარმა მოგიტანა?

ფრ. ფოკ. (საღფეტკით რადაცას იგერავს)

იოჰან. ფუტკარია, დედი დაანებე თავი..

ბრაუნ. ბერლინიში წასასვლელად მოვე-მზადე, მინდოდა ფერადი წამლები მეყიდნა, მაგრამ მატარებელმა გამასწრო.

იოჰან. ჰოო! შენ ეგ ზირადგემართება.

ბრაუნ. არა უშავს რა, ხვალაც მოვე-სწრები..

ფრ. კეტ. (ხელავს მაღლა იწყებს: იმის საინთან ფუტკარი დაფრანავს) თაფლის სუნი ეტა!..

ფრ. ანნა. განა სხვა მატარებლები აღარ არის? (თავის კულზე შეძწწუნებულად იყურება) ფუტკარი, ფუტკარი...
ბრაუნ. არის, მაგრამ ძვირები. მე მხოლოდ მუშათა მატარებელი ვმოგზაურობ.

იოჰან. მუშათა მატარებელი დილით აღრე გადის. შენ ეს მიიხარი, ხატავს ჯერ არ გადაეჩვიე?

ბრაუნ. რა ვქნა, აბა! წამლები არ მაქვს და რითა ვხატო?

იოჰან. ეაშა, ეაშა! შენ, ჩემო ძმაო, ზარამცობა დაიწყე

ბრაუნ. ერთი დლით აღრე ვახდები ცნობილი თუ გვიან, განა სულ ერთი არ არის?... და საზოგადოთეს თხუპუნა, გლესევა..

იოჰან. ჭედრაკის თამაში სჯობია, არა?

ბრაუნ. უიროგ არ იყო შენც მაგ გართობა-ვარჯიშობისათვის მოგვიკიდა ხელი, მაგრამ შენს ზღვას, ძმაო, ნავთსაყუდარი არა აქვს. შენ ქარ-ამოულეებლათ სცხოვრობ...

იოჰან. კიდევ მოიგონე რამე!..

ფრ. ფოკ. (წამოხტება და უფარის) კრაზანა, კრაზანა! (ყველანი საღფეტკებს იქნევენ ფრ. ფოკურტას შხარეზე)

იოჰან. გაფრინდა!..

ფრ. ფოკ. საზოზღარი ქმნილებათა (ყველანი სხდებიან)

იოჰან. აბა დაბრძანდით. (ბრუნს) ემანდ-არა გაქვს?

ბრაუნ. ცნობის მოყვარეობამ იგიტაცა, არა? ძალიან საინტერესოა!

იოჰან. დავექი, ყავა მაინც დალიე.

ბრაუნ. (დაუფება და წინს იოჰანს ში-წადის იოჰანსი შლის წინსა და ჰფურცლავს) დიდი სიამოვნებით.. მე ისე ცოტა ვისაუბრე, აბა იპოვე მარშინისა მშხატრები?

იოჰან. (ფუსფუსებს) რა, კიდევ იშოვენ?

ბრაუნ. ჰანს, შენთვის საინტერესოა.

ფრ. ანნა. დიხ, მეტათ საინტერესო ამბავია. ჯერ არ წავიკითხავთ?

ბრაუნ. არა, დღეს დილით დავიწყე

კითხვა ლოგინში და კიდევაც იმითმ დავი-გვიანე მატარებელზე.

ფრ. ანნა. თქვენ რომელი უფრო მოგ-წონთ. რბიინინი თუ დედოვი?

იოჰან. (ბრუნს) შენ მეტის გატაცებით უფრო ჰკითხულობ, ვიდრე ჰხატავ.

ბრაუნ. ჰკითხე. ეხლა არაფერს არ ვაკეთებ.

შენც წაიკითხე და კარგათ ჩაუფქირდი მარ-შინის დაწერილ ამბავს: იქნება დარწმუნდ-ბირომ ქვეყანაზე ბევრი იმისთანა რამათა, რაც მხატვრობასა და თხზვებდაც საკირო და სა-სარგებლოა

ფრ. ანნა. მაშ თქვენ რიბინის ეთანხმე-ბით?



ბრაუნე. რიბინს?. არა, არ შემძლიან ვთქვა, რომ... სრულიად, გადაკრით..

იოჰან. „მხატვრები“ ეს რა მოთხრობაა?

ფრ. ანნა. მაგ მოთხრობაში გამოყენილია ორი მხატვარი: ერთი გულუბრყვილო, მეორე კი—აგრედ წოდებული განმსჯელი მხატვარი. გულუბრყვილო ინტენერი იყო და მხატვრობა დაიწყო, მეორემ, მხატვარმა კი თავი დაანება ხატვის და სკოლის მასწავლებლად დადგა.

იოჰან. რა იყო ამისი მიზეზი?

ფრ. ანნა. მხატვარი დარწმუნებულია იმაში, რომ მასწავლებლობა უფრო სასარგებლოა.

იოჰან. ამ დასკვნამდის როგორ მიდის?

ფრ. ანნა. (წიგნს აჩემებს და შლას) მომთხინეთ. უკეთესი იქნება თვითონ ის აღვილი წაგიკითხოთ... აი აქ არის! (ხაზოფენ ადგილს თათს დაადებს. შემდეგ მიუბრუნდება და უსუნას) ინტინრად ნამყოფმა დედოფმა რიბინინი მიიყვანა ქვაბების ქაზხანაში. ის მუშები, რომლებიც ქვაბებს შიგნიდანა სქედნენ, საერთოთ, აღრე ყრუდებიან, ამიტომ დანარჩენი მუშები იმათ ყრუანჩელებს ეძახიან, დედოფი რიბინინის მიხითანა დროს აჩვენებს „ყრუანჩელას“, როდესაც იგი მუშაობს. (კითხულობს წიგნში) „ის იჯდა ქვაბის ერთ კუთხეში მოკრუნჩხული და გული შეეშვირა ქვაბის გვერდისათვის, რომელსაც ზემოდან ჩაქუჩებს ურტყამდნენ. მე ნახეყარ საათის ვუყურებდი; ჩაქუჩი ასეყერ ავიდა და დავიდან „ყრუანჩელა“ კი იწლანებოდა. მე იმას დავხატავ“.

ფრ. ფოკ. რისთვისაა საქირო ამისთანა საცოდავის აღწერა? ვისთვისაა სასიამოვნო?

იოჰან. (იგანის და დედას თავზე ხელებს უსვამს) დედილო, დედილო! მოთხრობაში განა უთუოდ საცინარი რამე უნდა იყოს რა.

ფრ. ფოკ. მე მაგას არ ვამბობ. მაგრა. მხატვრულ ნაწარმოების კითხვა შისიამოვნებას უნდა ვგრძნობდეთ.

იოჰან. სიამოვნების გარედ კიდევ ბევრი რამ სხვა შეგვიძლიან ვიგრძნოთ.

ფრ. ანნა რიბინინიც სრულდებით სწავლა მოგებას არ გრძნობს. ის ზარდაცემული... აღელვებულია.

იოჰან. მასწავლებლათ გადაქცევა, ჩემის ფიქრით, ვერაფერი აზრია.

ბრაუნე. რატომ? განა მასწავლებლობა უფრო სასარგებლო არ არის, ვიდრე სურათების ხატვა და თხზულებების წერა.

იოჰან. მე არ ვიცი რამდენად ძვირად აფასებ შენს შრომას, მაგრამ რაც შემიძლება მე უნდა გამოეყუდე, რომ ჩემ შრომას ყარგა მაღლა ვაყენებ.

ბრაუნე. შენ არ გინდა გამოტყდე და მე კი გამოვსტყდი,—ეს ერთად ერთი განსხვავებაა ჩვენ შორის.

იოჰან. ვითომ რაში არ მიწდა გამოვსტყდე

ბრაუნე. აი იმაში...

იოჰან. რაში?

ბრაუნე. იმაში, რომ შენი მწერლობა, და მაგისი მზგავსი, სრულდებით საქირო არ არის... სულ მეტია...

იოჰან. რომელი მწერლობა?

ბრაუნე. აი შენი ფსიხო-ფიზიოლოგიური.

იოჰან (ზურბდეჯად) შენ იმისი არა გავებება რა!

ბრაუნე. არც მიწდა რომ გამეგებოდეს...

იოჰან. მაშ შენ სრულიად უფიცი ჰყოფილხარ და განათლების იმ საფეხურზე მდგარხარ.

ბრაუნე. კმარა, კმარა, გეყოფა სკოლაში შექმნილი განათლებით ტრაპანი...

იოჰან. მე ვგმობ, ვფუტრთებ სკოლაში მიღებულ ჩემ განათლებას, შენ ეს ყარგათ იცი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ...

ბრაუნე. შენ ეგ ათასჯერ გითქვამს, მაგრამ შენი სკოლური მზრავლობა ყოველ სიტყვაში გამოსქვივის! ეჭ, მაგრამ კმარა ამაზე!.. ყველა ეს იმდენად საფრთხილო რამაა, რომ თვითელმა თავისათვის უნდა დადიწყვიტოს.

იოჰანესი. რა არის საფრთხილო?



უბედურად დაღუპული სტუდენტები
ბ. ბადურაშვილი (მგოსანი კიქია. ფშაველი)
და მწერალი გრ. ზურ. ხერხეულიძე
(გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო)

ბასმაროს მთებს

ცხოველ მზის სხივით დღისით გულს ითბობ,
ღამით კი მოვარე ხვაშიადს განდობს,
ნაძენართა გროვა დარაჯად გიდგას,
ჩანჩქარა წყლები ზღაპრებს გიამბობს.

ქექა-ქუხილი ელვის გიგზანის,
ცისარტყელა კი ლამაზ რგოლს გავლებს,
თოვლის ნაგლიჯი დაჰკერვია,
მიუწოდომელსა შენსა მწვერვალტს.

თეთრი ღრუბელი თავს დაგქათქათებს,
ხან კი ოქროს ფრად გადიფერება,
მთისა ნიავი ქოჩორსა გიშლის,
გეჭურჩლება და გეფერება.

ხან სახეს იცვლი, მთელი მიდამო,
ნისლით და ღრუბლით დაიბურება,
ჰქრება მზის სხივი, თავსა ხრის მიძიმეთ,
აღამიანთან ერთად ბუნება.

თვისკენ მეძახის, თავისთან მიხმობს,
ამოსასვლელად მწვერვალი შენი,
ჩემი სამშობლოს ნაჰკერი რომ ხარ,
იქნებ ლამაზო იმისთვის ჰშენენი.

ხან, არ დავმალავ, შურს ვგრძნობ შენდამო,
რო მე არ ძალმიძს შენებრივ დგომა,
ეგრე ამაყად, ეგრე უშიშრად
რომ არ გამდუნოს აროდეს დრომა.

მიყვარხარ მთაო, მიყვარხარ მტრემ,
რომ ლამაზი ხარ, მიუწოდომელი,
და კაცის ხარბი გულიც მას ეტრფის
სანამდის მას არ მისწვდებოა ხელი.

გაჰქრება წლები, მეც მას გავყვები,
სხეები გეწვევა, შენ კვლავ იქნები,
ათასი შენიც თავზე დაგეცეს
თავმოუხრებლად მედგრად იღებში...

საფო მგელაძე.

აკვანი... კუბო.

ნაწყვილი.

ვახტანგის ოჯახი დიდ სიხარულს განიცდის... ყველა ერთნაირად მზიარულობს... მოიღებენს...

—სწორედ ბედნიერი ვართ ჩემო მშვენიერო თამარ... დილოცა ღეთის სამართალი, რომ ჩვენი ოჯახიც გამზიარულდა და გაბედნიერდა...

— ვენაცვალე მის სახელს. მან უკეთ იცის ვის რა ესაჰიროება!..

აბა შეხედე რა მშვენიერია... ანგელოზია ნამდვილი...

ანგელოზი! — აღფრთოვნებით წამოიძახა თა. მარამა და თავისი პატარა შოთიკო ხარბათ ჩაკონია...

—ღმერთმა ჩემ ხანათ მოჰყაროს შენ-ლებო! ძლივს ჩაილაპარაკა ასი წლის ბებია და მეტის სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა...

— მამა... ეხლა ხო მეცა მყავს პატალა ძამია... ეკითხებოდა ვახტანგს თავისი პატარა ქალი თინა.

— როგორ არა; ჩემო ჩიტუნია... აი თუ არა .. სილამაზით შენა გგავს... როცა გაიზრდება ერთად ივლით .. იმზიარულვით... ენა მოკცევით უბასუბებდა ის ცელქ თინიკოს და გულში იკრავდა...

პატარა კი თავისთვის იწვა აკვანში... ამას თითქო ესმის ყოველივე, ღიმილი უთამაშებდა ლამაზ სახეზე...

ხელები ამოეშვა და დრო-გამოშვებით, სიამოვნების ნიშნათ "აღუ-აღუს" გაიძახოდა.



შემოდგომის წვიმიანი დღეა... გულ შე-
მზარავი ქარი ბრაზ მორეულათ დაჰქრის, მო-
მაკვდავის ხმით კენკის და საიდგანლაც ახალ
ახალ ღრუბლებს მოერეკება...

ვატანგის ოჯახში აუარებელ ხალხს მო-
უყრია თავი... ბევრ მათგანს მწუხარების ბეჭე-
დი აზის სახეზე... ბევრი კი მზიარულათ
იღიმება და ერთი მეორეს რაღაზნედაც ეოხუ-
ნჯება...

შვავთ მორთულ ოთახში კი კუბოში ვილაც
ასვენია...

ირგვლივ სათოლები ანთია...

— ვაი უბედურო თამრო... რა დღეს
მოესწარ... შენი სიცოცხლე შოთიკოა კუბო-
ში გისვენია... ჯერ კიდევ პირველ აკვანიდან
არ ამოსულა და მისთვის მეორე აკვანი და-
იღვია...

სიცოცხლის გარიტრებზე აღბნელდა
მზე... ღმერთო... რა დავაშვეთ... რა... რი-
სთვის დაჰბადე, თუ ასე ხანმოკლე იყო მისი
სიცოცხლე! სასოწარკვეთილებით ჰქვითინებდა
უბედური თამრო და მეტის მწუხარებისაგან
სახეს იხოკდა...

— ღმერთო, ღმერთო... რად შეგშუ-
რდა ჩვენთვის ეს ერთი ვაჟი... რათ გვაჩვენე
თუ ისევე მალე წაიყვანდი... ვაი დამზობილო
სახლკარო... ოჯახო!... შეილო... შეილო
შოთიკო!... შენგან... შენგან მოველოდი შე
დამარხვას და დღეს კი რას ვხედავ? უნუგე-
შოთ მოსთქვამდა ვატანგი.

კუბოს თავით კი კარგა მოზრდილი
თინიკო იღვა და ცრემლათ იღვრებოდა...

ლ. ძიძგუარი.

შრომის საქმე

(იხ. ათ. და ე. № 26)

ერთ საღამოს მუშაობის გვათვების შემ-
დეგ, ოლია საჩქაროთ ვაგშურა ქალაქს გა-
რეთ პატარა გორისაკენ, სადაც მას უნდა
დახვედროდა, ერთი თვის წინეთ გაცნობილი
რუსეთიდან ახალ ჩამოსული „პატარა გიგოა“.
„პატარა გიგოა“-კი ცნობილი პირი იყო მუ-
შებში. ის ხუთი წლით მოაშორეს თავის სამ-
შობლოს, მაგრამ დაბრუნებისათნავე შეუდგა
თავის საყვარელ საქმეს—მუშებში მოქმედე-

ბას. ოლია მან გაიწნო მას შემდეგ, რაც
ბაითათვის ქარხანაში პატარა წრე შეადგინა
და წრეში ცხოვრებით უკმაყოფილო, დაინტე-
რესებული, მომქმედი ოლია ნახა. ოლიასაც
ძლიერ იტაცებდა ეს მისთვის ახალი საქმე,
ის წინანდელათ წინდარებით სრულიად გამო-
იცვალა და თუ შენეთ თავისი თავი საბრა-
ლოთ მიანჩნდა, ეხლა ის ამგვარ შეხედუ-
ლებიდან განთავისუფლდა.

— ეხლა დავიბადე, ეხლა ამეხილა თვა-
ლები, ეხლა მოვედი ქვეყანაში!.. — ასე ფიქ-
რობდა ბოლო ხანებში ოლია და მის სიხა-
რულს საზღვარი არ ქონდა...

— სწორედ ბნელდებოდა, როცა ოლია
დანიშნულ გორაზე ავიდა. მთელი დღით ნა-
მუშევარი, ის ძლიერ დაღლილი იყო, მაგრამ
შეუშნეველათ გაიარა საქარისი გზა, მხო-
ლოდ იქ კი არავინ დახვედრია...

— დავიციდი, მოვლენ, — სთქვა მან
თავისთვის და იქვე ჩამოჯდა ხის ძირას. ის
ფიქრებში გაერთო, თან საღამოს ჩვეულებ-
რივი ინავე ქროდა...

— მართლაც, როგორ შევიწროვებულია
დღეცაო, არავინ არაფრათ ადგებს, უღონო
არსებათ სთვლიან, ყველანი ამცირებენ და
აღამიანათაც არ მიანჩინათ... სწორეთ ასეთი
ცხოვრება შეუძლებელია, ოჯახი, მუშაობა,
ბავშვის აღზრდა, ერთი სიტყვით ყველაფერი
უნდა გააკეთოს და უფლება — არაფერი...
— ფიქრობდა ის...

გაიჩინა რამოდენიმე წუთმა და ფეხის
ხმაც მოისმა.

— მოდის გიგა. — ჩაი იპარაკა ოლიამ
და წამოვდა.

„პატარა გიგა“ გამოჩნდა. დაბალი ტა-
ნის, სახე გამაღარი, უბრალო ცანსაცმელში,
თმა-ქოჩორა, ასე ოცდა შეიდი წლის...

ის ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ოლიას.
— გამარჯობა! — წყნარათ უთხრა ოლი-
ას და ხელი გაუწოდა.

— გავიძარჯოს! — სიხარულათ უპასუხა
ოლიამ და ხელი ჩამოჭრათ.

— დამიგვიანდა. მუშაობა გვიან გავათავე.

— თქვენ დიდი ხანია მოხვედით?

— არა, ცოტა ხანია. — უპასუხა ოლიამ.



— სხვა არავინ არ მოსულა? — შეეკითხა გიგა.

— მე არავინ დამხვედრია.

— რისთვის არ მოვიდინენ?

— არ ვიცი. ან კი ვის ელოდით?

— სხვა და სხვა ქარხნებიდანაც უნდა მოსულიყვნენ.

— ალბათ მოვლენ. (ისინი ჩაფიქრდნენ).

— დაესხდეთ, დავისვენოთ! — უთხრა გიგამ ოლიას და თვით ჩამოჯდა იქვე. ოლიამ ცას შეხედა და ცოტა ხნის შემდეგ გიგას ახლო დაუჯდა

— რა მშვენიერი საღამოა! — დაიწყო ოლიამ.

— დიდებული... მხოლოდ ჩვენ რა გვეკუთნის ამ მშვენიერ საღამოდან...

— არაფერი... — მოწყენით სთქვა ოლიამ.

— შარტლა არაფერი, მაგრამ ჩვენც მივალწვეთ ადამიანურ ტხოვრებას, ჩვენც როდისმე დავსტკბებით ბუნებით... ეხლა კი დღით და ღამით ვშრომობთ და საღ გვეცლიან გავიზიაროთ ბუნების საიდუმლოება... ისე მოვა დრო...

— იმ, საღ გვაქვს ჩვენ ამის დრო... სხვა საქმეებიც ბევრი გვაქვს...

— იცით ოლია: ბევრი ტანჯვა განიცადა კაცობრიობამ და კიდევ ვინ იცის რა მოელის, მხოლოდ ტანჯვა ქმნის ყველაფერს, — სიყვარულსაც ძლიერებასაც, სიცოცხლესაც...

— მეც სწორეთ ამ ტანჯვაში დავიბადე, აღვიზარე. მთელი ახალგაზღვრა უიმედობაშია გავატარე და ეხლა კი დავრწმუნდი მე გამარჯვებული გამოუსულვარ ცხოვრებაში, ან კი ტანჯვა რათ შემაშინებს? — მართალია ქალი ვარ, მაგრამ დღეს უკვე მწამს მეც ისეთი ვარ, როგორც კაცი, და ვიტანჯო...

— მე! მ.ს. მხოლოდ შეგეკითხები: რაიმე განმკდელი რომ შეგხვდეს, შეგიძლია თუ არა აიტანო? დაუქრება და მიპასუხე!

— ფიქრი რათ უნდა, მას შედეგ რაც მე სინაპტილეს გავეცანი — მზათ ვარ...

— წინეთ, გაცნობამდე?

— მაშინ სხვა იყო, არც კი ვეფიქრობდი საერთო საქმეზე, მაშინ ჩემი თავი მონათ წარმომედგინა, უიმედობა და ტირილი მიმრჩილებდა... ეხლა... ეხლა კი გამოვიცვალე გაბედულება მომეშატა, შინდა გამოვიდე ამ მდგომარეობიდან და მეც ადამიანი გავხდე, არამც თუ მე, არამედ ჩვენი მრავალ მხრივ შევიწროვებული, დამცირებული, და ტანჯული ქალები...

— მეტად სასიამოვნოა... მოხარული ვარ შენი სიტყვებით და დარწმუნებულიც მტკიცეთა ასრულებ მოვლემბას, ჩემო ოლია!

— მე რა დამჩენია მეტი, თუ ეს არ ავასრულე. ცოტა ხნით მათში მყუდროება ჩამოვარდა. სიბნელემ იმატა.

— როგორ მოვწონს ქალაქი? — დაარღვია სიჩუმე გიგამ.

— წინეთ მძულდა, ეხლა შემეყვარდა, მართლაც აქ ცხოვრება მღელვარია — რთულია...

— ქარხანა?

— ქარხანაც მძულდა, ეხლა ისიც შემეყვარდა.

— რისთვის?

— როცა გავეცანი სინამდვილეს, მე იქ ძალას — ძლიერებას ვხედავ.

— სოფელი არ მოგნატრიათ?

— სოფელიც მენატრება, მენატრება დედა, და-ძმა... ნეტა როდ ს ვნახავ?...

— დიდი ხანია, რაც მოშორდი სოფელს?

— დიდი ხანია. პატარაობიდან აქ აღვიზარე.

— რაც აქ ჩამოგვდ, შემდეგ არ ყოფილხარ სოფელში?

— არა. არც ფული მქონდა სამგზავრო, ისე სურვილი მუღმივ.

— სოფლია მოპრობა რომ იყო გახსოვს?

— მაშინ, პატარა ვიყავი, წამოდგენაც არ მქონდა მასზე.

— ქალაქში რომ ცხოვრობ მერე?

— აქ კი არაფერი მსმენია.

— ეხლა კი, როგორ ფიქრობ?

— მე მტკიცეთ მწამს; სულ აღნი გამოიღვიძებს ხალხი.



— და აი, სწორედაც ამისათვის უნდა ვიმოძრაოთ.

— მუშებს მუდმივ უკმაყოფილება ეტყობა, მხოლოდ არ იციან, როგორ მოიქცენ.

— ამიტომ არის საჭირო მთი შეერთება.

— მეც ამისთვის მოვაწყვე ქალების წრე ჩვენს ქარხანაში.

— მართლა თქვენს ქარხანაში როგორი მდგომარეობაა ან მუშები, რას ფიქრობენ?

— მუშებს მოთმინება ეკარგება, გრძობენ აუტანელ სიმძიმეს და უკმაყოფილება ფართოდება.

— და აი, დროც ეხლა შესაფერისია.

— კი, მარა საჭიროა საქმე, გზის ჩვენება.

— დიახ, ამიტომაც ვიწყებთ მოქმედებას და უნდა გავაძლიეროთ თანდათან.

— ყველა ქალები მემბრობიან, უკმაყოფილო არიან ხვედრის..

— რომ საჭირო დარჩეს— გამოვლენ!

— სულ ყველა გამოვა.

— მაშ, კარგათ ყოფილა საქმე, ჩვენი მუშა ქალები ჩამორჩენილნი და შევიწროვებულნი არიან.

— დიახ, ჩამორჩენილიც ვართ, უსწავლელებიც და დამონებულნიც!..

— ეს ასეა, ოლია, ნასწავლი სიდან იქნება მუშა ხალხი, ვინ ასწავლიდა?..

(გაგრძელება იქნება.)

ა. თუთისპირელი.



„თეატრი სანტრი“ და „თეატრნი შავად მღელვარნი“

ნიკ. ბარათაშვილი როგორც მამულიშვილი.

(იხ. თ. დ. 1, № 28)

აღამიანის ეთიკურ გვარი შინაგანი მოთხოვნების: სორტიკლის იგი თუ სუფიერი, ჯერ ბუნდოვანია და გამოყოფილი, თბიკტ კეთილმანერებელი. ნანდომ სვანს იგი დიდ სანს კეებს, და ზოულის შემდეგ მრავალჯერ ცდისა. ავიდოთ მაკ. შიმშილი ან წუწუვილი. ეს მოთხოვნებისა წინ უსწრებენ იმ სიამეს, რომელსაც ადამიანი მათგან მიიღებს. იმ სიტუაციაზე, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები— ზედ მიწვენი და ზედ დადებით როდი უთითებენ: არა, ადამიანმა მრავალ-გზის და მრავალ სანგებით სცადა შიმშილის და წუწუვილის დაკმაყოფილება, ვიდრე შეინებდა, რომ მრავალ საზრდოთა შორის პურა უკეთესად აკმაყოფილებს შიმშილს და წყალი წუწუვილს. ამიტომ ეს სანგები ადამიანის შემტენებაში გადავხეწენ შიმშილს და წუწუვილს და დღეს ეგვლანი განიხილავს: „პური გემიან. წყალი გემურიათა.“ შემდეგ დიდი ხნის ძიებისა პური და წყალი განდა მიხნათ შიმშილ-წუწუვილისა.

სუფიერ მოთხოვნებისათა შესახებაც ესევე უნდა ითქვას, იმ დამატებით, რომ მათი ძიება

და ზოგან ცხადებით უფრო ძნელია და სანტრიკალია. რაც ადამიანი უფრო ცნებით გამოტრიახის, ტრანობით დრმა, გულის თქმით ძალუმი, მით უფრო მისი სიციცხლის მიხნა შორეულია, წადიერება დაუკმაყოფილებელი, იდგალი მიუწდომელი. ბარათაშვილი სწორეთ ასეთი ბუნების ადამიანი იყო. ამიტომ სიციცხლის მიხნის სათვალცხადისათ ვერ ზედაყდა და არსებული ცხოვრების ბირობები მას ვერ აკმაყოფილებდა. ერთ წერაში ბაძს სწერს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს უკეთესი სხედარსაგან: გული მეუბნება; მე შენ ხარ დაბადებული ახალადელი მდგომარეობისათვისა.“ ნუ გძინამსო. მე არა მიძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა დრე კლდეს ცადამიყვანოს და დაეგბე ტაშლიე ტახზედ.

ჩვენ შემდეგში უნახეთ, რომ პოეტო სტუუდებმა. პატარა დრე კლდე კი არ ჭეოფს მას მისი სხედრიდგან, „არამედ ტარდუაელი უფსკრული, რომელსებაც განწრული სულის კეთობით გადაახტუნებს თავის უცხო უკეთესი მფრინავ მერანს, ეს დრე-კლდე უოფხა არ უოფხის სკათი იყო, სიციცხლ-სიციცხლის ტარდაწვეტა. ამ ბუნების ადამიანს როგორ დააკმაყოფილებდა ცხოვრების ნიეთიერი მხარე, როგორც უნდა კ-



რკათ უფიფილო იგი მოწოდებოდა რომ ეს ასეა, ამას დასტურებს მისი წერილი დასთან. ახრას სწერს: „ისეთს რას თვითრება, რომ ბოლო არა ჰქონდა, ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაჰკარგო. მიხეუნე კაცი, რომ მიუთვლილი იქონ თავის ბედისა. დაამარსე უმანკობა გულის, მშვენიერებას სულისა, აი კვიმარტი ბედნიერება, რომელსაც კი ადამიანი წადებს ამ სოფლიდან. სხვათა ბედნიერებათა ამ სოფლისათა უტვირე გულგრილად, და გწამდეს, რომ ისენი შეურბეულნი არიან და წარმავალი.“ სხვის დამირბეული თვით როგორ გადაკვდებოდა ამ შეურბენად და მსწრაფლ-წარმავლ ცხოვრების მატრიალურ მხარეს?

თუმა ადამიანის გულისთქმს და უმადლესი ზრახვანი ცისკენ და მარადისობისკენ ასწრაფიან, მიგრამ მისი თუბები კი დედამიწას ანაბრია, ამიტომ ვერ გაქმნება იგი ვერსათ ცხოვრების ნიეთიერ და წარმავლ ზირობებს. ჩვენ ზოეტსაც ძალაუნებურათ უნდა ეზრუნა ცხოვრების მატრიალურ მხარეზე, აკი ზრუნავს კიდერ. მას უნდადა სამხედრო სამსახური, მაგრამ კოჭლობამ დაუშალა. სწადა და მადლ სასწავლებელში შესვლა მაგრამ ნიეთაერმა სულ-მრკალობამ დააბრკალა. სურდა გენერალ რუნენკათთან ეშინა მადლი რამ სამსახური, მაგრამ მისმა ბიძა გრიგოლ თრბელანმა, რომელსაც ბარათა-შეილი ეხვეწებოდა ეშუმიგდომდა არ შეურსულა და თავი არ შეიწეს მისთვის დაჩაჩა-სუდას რას-ზრახვამ და უკმყოფილოთ დაემორჩილა თავის მატრ ბედს.

ჩენი ზოეტის უმთავრესი სასამქვენიო ზრუნვის საგანი, რამდენათაც მისი ზოეტური შემოქმედება გემსელს—სამშობლო, ქართლის-ბედა. ბარათაშეილი იმდენათ ეყო გატაცებულთ ამ მახნათ ზირველ ხანებში, რომ კინაღამ სი. ცოცხელ შესწირა: თავი არ დაზოგა დიდ განსადგელში ჩასაკვებად. მოკვსსენებათ, რომ ერთ-მამატრამ ჯგუფში განიძრას აუფრიალებინათ თავისთვლები დროში, და დაეხსნათ უკიდურესთ გაჭირვებულთ სამშობლო აუტანელ შეწუხებდაც. მოახდისეს შეთქმულები, ამბოხი უნდა მოეხდინათ. მაგრამ ერთმა სულ-მადამამატრამ და შეთქმულობა აღმოჩენილი იქმნა. ამ მატრამ თავდადებულთა წრეს ჩენი ზოეტობ

ეკუთოდა. საბედნიეროთ მთავრობა აღმოიგნო მოკუნდა მათ და დასაჯა თავისებურათ-შეკრათ. ზოეტმა თავის მიმუღიშეიერი გრძობანი გა-მოსთქვა დაქსებში: „ბუღბუღი ვარდზედა“ აბე-დი ქართლისა, და „სუშბუღი და მირია“.

დაქსში ბუღბუღი ვარდზედა გამოთქმული აქვს ბარათაშეილს ის სუდაერი ტანჯა, რომელიც მან განიცადა, შემდეგ ამბოხის ჩაქრობისა, როდესაც მისი ზოლიტიკური ვარდას კოკრები იმედობ უდროვოდ ჩასტანენ. ამ დაქსში ბუღბუღი თვით ზოეტა, ვარდი სამშობლოთ კოკრები ზოეტის იმედობი სამშობლოთ გაფრჩენასდა, რომელსაც მოუთმენდად ელოდა.

ბუღბუღი ვარდზედა მჯღარი ეტყობა მას მსტენიანი:

ვარლო, ვარლო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტენიანი.

მალისნო, თუ როგორ არს გაშლა შენი მალიბი.

მწუხრსა აქეთ აქ ვზივიარ, ფოთლიბზელა მკონაი“.

ამ მოლოდინში ბუღბუღს თითქმის მიერული და სდუმდა, ბედაში დამეუჭალები მოიგვა. უნებ აღმოაჩინდა მითები (იმედი სამშობლოთ დახსნისა, (ფრთოსნათ მხიარული გალობა ჰეგეს ჰაკრში განადგობეს ბუღბუღი (შეთქმულობა). ნახა ვარდი ფურცვნილი და მვის მოუკვდა გულის (ამბოხის ჩაქრობა). აქედან იწეება ზოეტის ბუღბუღის მოთქმა-გოდება:

„თვალნი ემოსა კრემლით, გული სეიდის საკლმოთა.

უნბო ყოველთა სირთა, მოლით და შე-მოკრბითა,

მისმინეთ, შემბირალით, ვის მიემართო წყლულითა,

განითალით დამემდე შეფერფინილი კოკრობას,

არ ვზოგავილი სიცოცხლეს, უძილობას გალობას.

მოქონდა მკირე წადილი, ვერ მიხვდი კი ძნელობას

მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობ-ლი დაქრობას.“

(გატრელება ძენება)

დომ. დეკანოზიშვილი

რედაქტორ-გამომც. იოსებ იმედაშვილი.



ხუთშაბათს მკათათვის 13 შუადღის 12 საათზე, კუკიის, წმ. ნინოს ეკლესიაში, გადახდით იქნება წლის წირვა და პანაშვილი ტრადიციულად გარდაცვალებულის სტუდენტის

გრიგოლ ზურაბის ძის ხერხეულიძის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობ-ნათესავეებს გარდაცვალებულის მშობლები. ბი ოვლა ზურაბი, და ძმანი სონა და მიშა, რძალი, დარეკა, დედუა მარიამი და დეიდა ანნა ელიოზი შვილისა ამავე დღეს გადახდილი იქნება ს. ლგვრისშიაც.

ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე

ადილებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველ გეგარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკეთს ამზადებს საუცხოოდ, ფ. კი. ზად და დროზე. თბილისში დროებითი მ. სა-მართი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში (ბაზრის ქ. № 20), ბაქოში პორახოვის ქ. № 56, შეგვეთას მიიღებს ფოსტითაც.



სახსხლის ქუჩა
თავად აზნ. სახლი

„ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბალი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახუშტის მიღება, არის ცალკე ფანჯატურები და კაბინეტები. სანოვავაგე საუკეთესო ღირსებებისა პაკივისციმით ხელ. გივიბერია.



თავისთავად

ახალიკლები | კვირის პროგრამა

- ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. - 50
- სამშაბათი — საოჯახო საღამო
- ოთხშაბათი — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბათი — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
- პარასკე — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. - 30 კ-დ
- შაბათი — საღ.
- კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ხარვუსის საზოგადო კლები

- ორშაბათი — სინემტოგ. სიმებ. ორკ.
- სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
- ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,
- ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.
- პარასკე — საოჯახო საღამო
- შაბათი — რუსული წარმოდგენა
- კვირა — სიმებიანი ორკესტრი
- შესახველელი ფასი: ქალები და სტუდენტები - 25 კ. მამაკაცი 50 კ.
- დახაწყისი: წარმოდგენა — კონცერტების
- სინოგრაფ — საღ. 8 ნახ. სტეა

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის ქუჩა № 1, ფოსტით: Таштхе, ред. Таштхе на Ц. Ц. Ц. — Тос. Ивлашвили.

სტამბა „სორაპანა“